პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (9697) | კვირა, 27 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

თუ ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ორგანიზატორები, კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა კოლმეურნენი და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკნი ენერგიულად და ბეჯითად მოჰკიდებენ ხელს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა საქმეს, თვის არ დაიშურებენ ძალებსა და საშუალებებს, უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენს ქვეყანას ექნება სიუხვე ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებისა მოსახლეობისათვის და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის.

მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობის ინტერესებისათვის

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ტყავისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოების მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გადიდებულ მოთხოვნილებებს ამ პროდუქტებზე, ხოლო მსუბუქი მრეწველობისას — ნედლეულზე.

მეცხოველეობის, პირველ რიგში საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის და ახლა პარტიისა და სახელმწიფოს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა სოფლის მეურნეობაში. მეცხოველეობის განვითარებაში შეუწყნარებელი ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, დასახეს ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელთა მიზანია პირუტყვის სულადობის ზრდა და მისი პროდუქტიულობის გადიდება. დაწესებულია დავალებანი ძროხის და მოლიანად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის, აგრეთვე ცხვრის, თხისა და ღორის სულადობის გადიდებისა 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის. განსაზღვრულია წველადობის, მატყლის ნაპარსისა და პირუტყვის გასუქების გადიდების დავალებანი.

დადგენილებაში დასახულ დავალებათა წარმატებით განხორციელება წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება მეცხოველეობის კვეთრი აღმავლობის საქმეში და საშუალებას მოგვცემს 1954 წელსვე მნიშვნელოვნად გავადიდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და ხახელმწიფო შესყიდვის მოცულობა და ავიყვანოთ ისინი 1954 წელს ხორცისა — 4.100 ათას ტონამდე ცოცხალი წონით, რძისა — 14.300 ათას ტონამდე, კვერცხისა — 4.290 მილიონ ცალამდე, მატყლისა — 230 ათას ტონამდე.

პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების სახელმწიფო დავალებათა დაწესებასთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების პრაქტიკის გაუმჯობესების, მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესების გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. საჭიროდ არის მინნეული 1954 წლიდან შემოღებულ იქნას სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების მუდმივი ჰექტარობრივი ნორმები; დაწესებულია სსრ კავშირში ჩაბარების საშუალო ჰექტარობრივი ნორმები. დაგმობილია მავნე პრაქტიკა მეცხოველეობის განვითარებაში მოწინავე კოლმეურნეობებისათვის ჩაბარების გადიდებულ დავალებათა მიცემისა. ჩამოწერილია კოლმეურნეობათა წარსული წლების მთელი დავალიანება მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დარგში, რაც მათზე ირიცხებოდა 1953 წლის 1 იანვრისათვის.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება მეცხოველეობის პროდუქტების ახალ, უფრო დიდ დასამზადებელ ფასებს, რომლებიც დაწესეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ახლა სავალდებულო ჩაბარების წესით სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ხორცში, რძეხა და მატყლში წინანდელზე ბევრად მეტს მიიღებენ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეცხოველეობის შემოსავლიანობა. ზეგეგმითი ჩაბარებისა და ზღვრულ შესასყიდ ფასებში შესყიდვის წესით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების არსებული სისტემა შეიცვალა გადიდებულ ფასებში სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი სისტემით. უმჯობესდება საზოგადოებრივ მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

დასახულია დიდი ღონისძიებანი პირუტყვის შეძენით კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა დაინტერესების გასაძლიერებლად. მნიშვნელოვნად შემცირდა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმები. 1953 წლის მეორე ნახევარში ხორცის ჩაბარებისაგან განთავისუფლებული არიან და 1954 წელს ხორცის ჩაბარება არ დაეკისრებათ კოლმეურნეთა მეურნეობებს, რომელთაც აღრიცხვის მონაცემებით 1953 წლის 15 ივნისისათვის პირად საკუთრებაში პირუტყვი არ ჰყოლიათ. კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს ჩამოეწერებათ წარსული წლების მთელი დავალიანება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების დარგში, რაც მათზე ირიცხებოდა 1953 წლის 1 იანვრისათვის.

გათვალისწინეს რა, რომ მეცხოველეობის განვითარების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა აიხსნება საკვების ნაკლებობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს საკვები ბაზის განმტკიცების გზები და დაადგინეს საკვების წარმოებისა და დამზადების ისეთი დავალებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მთელი პირუტყვის კარგ კვებას. დასახულია ამოცანა — გაუმჯობესდეს მდელოებისა და საძოვრების გამოყენება, მკვეთრად გადიდდეს საკვების ბუნებრივი სავარგულებისა და ნათესი ბალახების მოსავლიანობა, გაფართოვდეს საკვები ძირხვნების, საკვები ბაღჩეული კულტურების, საკვები კარტოფილის წარმოება, აგრეთვე სიმინდისა და მზესუმზირას წარმოება, რომლებიც ყველაზე ძვირფასი და უხვმოსავლიანი სასილოსე კულტურებია.

ისეთ პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის მეურნეობის მთავარი ფორმაა მსხვილი საზოგადოებრივი მეცხოველეობა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობის ფერმებში საკვების მოპოვებისა და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის ამოცანას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში თიბვის, თივის მოფოცხვისა და დაზვინვის, სასილოსე კულტურებისა და საკვები ძირხვენების დათესვის, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა და სხვა სამუშაოთა მექანიზაციის კონკრეტული დავალებანი. გათვალისწინებულია მიეცეს სოფლის მეურნეობას მრავალი მანქანა მეცხოველეობის მექანიზაციისათვის.

დამტკიცებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1954 წლისათვის მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის გეგმა. კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ შექმნან მშენებელთა ბრიგადები, მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაზე ფართოდ გამოიყენონ მშენებელთა ბრიგადების წევრთა შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური სისტემა, აგრეთვე კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებებით ბრიგადებს აძლიონ ფულადი და ნატურალური პრემიები მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის, როცა ამავე დროს სამუშაოები შესრულებულია კარგი ხარისხით. მეცხოველეობის სადგომების ასაგებად გამოიყოფა დიდძალი საშენი მასალა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ დადგენილებაში მოგვცეს მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის მოქმედების ვრცელი გეგმა. ახორციელებენ რა ამ დადგენილებას, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ მეცხოველეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და მიაღწიონ ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრ აღმავლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობა, კიდევ უფრო განამტკიცა მათი გადაწყვეტილება უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის და უწინარეს ყოვლისა მისი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარება, როგორიც არის მეცხოველეობა. ახლა მთავარია ის, რომ გავაჩაღოთ მჩქეფარე ორგანიზატორული მუშაობა პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად, უზრუნველვყოთ მეცხოველეობის განვითარების გადაუდებელი ამოცანების პრაქტიკული განხორციელება. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ამჟამად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ღონისძიებები.

„პრავდის“ 26-IX მოწინავე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო გარდაქმნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მინისტრად დაინიშნა ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე **დავითაშვილი.**

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ქ. თბილისში, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში მოწვეულია

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 228)

8. სავსებით განთავისუფლდეს სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხის, მატყლისა და ღორის ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან:

ა) იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი და კოლმეურნეობის არაწევრთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის წევრი ითვლება მეურნეობის შემადგენლობაში და იმყოფება საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამსახურში, თუ ოჯახში არ დარჩენილა სხვა შრომისუნარიანი, გარდა სამხედრო მოსამსახურის ცოლის ან დედისა, რომელსაც ჰყავს 8 წლამდე ასაკის შვილები;

ბ) იმ მოქალაქეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდები, თუ ოჯახში არის მარტო ერთი შრომისუნარიანი;

იმ მოქალაქეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდები, თუ ოჯახში ერთი შრომისუნარიანია და არიან ბავშვები 16 წლის ასაკამდე;

იმ მოქალაქეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის შემადგენლობაში არიან სამამულო ომის I და II ჯგუფების ინვალიდები და ოჯახის ორი შრომისუნარიანი წევრი, ამასთან 16 წლამდე ასაკის 5 და მეტი ბავშვი.

სხვა მეურნეობებისათვის, რომელთა ოჯახის შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის I და II ჯგუფების ინვალიდები, სავალდებულო ჩაბარების ნორმები მცირდება სანახევროდ, ხოლო თუ ოჯახში შრომისუნარიანი წევრი არ არის, ეს მეურნეობანი სავსებით თავისუფლდებიან სავალდებულო ჩაბარებისაგან.

შრომის ინვალიდების მეურნეობათა შეღავათები ეძლევათ იმ მეურნეობებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან მოქალაქენი, რომლებიც ქირით მუშაობდნენ და შრომის ინვალიდები გახდნენ და რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა მიაკუთვნეს ინვალიდობის I ან II ჯგუფს.

ინვალიდის სიკვდილის შემთხვევაში მეურნეობისათვის მიცემული შეღავათი რჩება წლის ბოლომდე;

გ) სოფლის დაწყებითი, არასრული საშუალო სკოლებისა და საშუალო სკოლების მასწავლებლების (მათ შორის ამ სკოლების პენსიაზე გადასული მასწავლებლების) მეურნეობანი; დირექტორების, სასწავლო-აღმზრდელობით ნაწილში დირექტორების მოადგილეების, სოფელ ადგილებში არსებული საბავშვო სახლების აღმზრდელებისა და შრომის ინსტრუქტორების მეურნეობანი;

დ) იმ აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ჰიდროტექნიკოსების, მიწათმომწყობების, მელიორატორების, ვეტერინარი ექიმებისა და ფერშლების, მედიცინის ექიმების, საშუალო სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორების მეურნეობანი, რომლებსაც აქვთ სპეციალური განათლება და მუშაობენ სპეციალობის მიხედვით სოფელ ადგილებში არსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ე) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოების, აგრეთვე სოფელ ადგილებში არსებული საბჭოთა მეურნეობების, ცხენთსაშენებისა და ხეხილის სახელმწიფო სანერგეების დირექტორების, დირექტორების მოადგილეების, ტექნიკური ხელმძღვანელების, ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომების, უფროსი მექანიკოსებისა და მექანიკოსების მეურნეობანი.

ამ პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული შეღავათი ენიჭებათ იმ პირობით:

თუ ამ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მოქალაქენი არიან ოჯახის მეთაურები ან ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრები;

თუ მეურნეობაში არ არის მუშა პირუტყვი და არის არა უმეტეს ერთი ძროხისა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთი სული მოზარდეულისა, მომდინარე წლის მოგების მოზარდეულის, 6 თვისაზე უხნესი ერთი ღორის და წლისაზე უხნესი სამი ცხვრისა და თხის და მათი ნამატის გარდა, ხოლო ძროხის თუ ღორის უყოლობისას — არა უმეტეს ერთი წლისაზე უხნესი 5 ცხვრისა და თხის და მათი ნამატისა, შორეული ჩრდილოეთის და იმ შორეული ადგილების რაიონებში კი, რომლებიც გათანაბრებული არიან ამ რაიონებთან, თუ პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის სულადობა არ აღემატება იმ რაოდენობას, რაც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით ამ რაიონის საკოლმეურნეო კომლისათვის;

თუ მეურნეობაში მიწის ნაკვეთი არ აღემატება სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაწესებულ ნორმას;

ვ) კოლმეურნეობათა იმ თავმჯდომარეების მეურნეობანი, რომელნიც არჩეული არიან სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა რიცხვიდან და კოლმეურნეობებში გაგზავნილი არიან დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან;

ზ) მუშებისა და მოსამსახურეების, სარეწაო, თევზსაჭერი არტელების წევრებისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების იმ წევრთა მეურნეობანი, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ და პირად საკუთრებაში პირუტყვი არა ჰყავთ;

თ) ღრმად მოხუცებულობის გამო შრომის უუნარო კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების, ერთპიროვნული მეურნეებისა და სხვა მოქალაქეების (60 წელს მიღწეული და მეტი ხნის მამაკაცების, და 55 წელს მიღწეული და მეტი ხნის ქალების) მეურნეობანი, თუ მეურნეობაში პირადი შრომით მონაწილეობას არ იღებენ ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრები;

ი) იმ მოქალაქეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის შემადგენლობაში არიან ბავშვები 8 წლის ასაკამდე, რომლებისთვისაც სახელმწიფო იხდის პენსიას მარჩენლის დაკარგვის გამო, თუ ოჯახის შემადგენლობაში არის არაუმეტეს ერთი შრომისუნარიანი წევრისა;

კ) იმ ობოლი ბავშვების მეურნეობანი, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ იმ წლის 1 იანვარს, რომლისთვისაც ირიცხება სავალდებულო ჩაბარება, თუ მეურნეობაში არ არიან ოჯახის შრომისუნარიანი წევრები.

9. სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებისაგან სავსებით განთავისუფლებულ იქნან მე-8 პუნქტის „ბ“, „გ“, „ზ“, „კ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მეურნეობანი.

მე-8 პუნქტში ჩამოთვლილ დანარჩენ მეურნეობებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ ძროხები, სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარება დაეკისრათ შეღავათიანი ნორმით — დაწესებული ნორმების ნახევარი ოდენობით.

10. იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა მეურნეობებს, რომლებიც სამამულო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ და უგზოუკვლოდ დაიკარგნენ, მიენიჭოთ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და ღორის, ტყავების სავალდებულო ჩაბარებაში შემდეგი შეღავათები: მეურნეობებს, რომელთა ოჯახის შემადგენლობაშია ოჯახის ერთი შრომისუნარიანი წევრი, და ამასთან 16 წლამდე ასაკის სამ ბავშვზე მეტი და ერთი შრომისუნარიანი წევრი, — 50 პროცენტის ოდენობით.

11. სახელმწიფოსათვის რძისა და მატყლის სავალდებულო ჩაბარებისაგან

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

მოსკოვიდან გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა კავშირში ორი კვირის ყოფნის შემდეგ 25 სექტემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ტენ ირ ლენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ტენ დიუნ თხიაკი, რკინიგზების მინისტრი კიმ ხე ილი.

ცენტრალურ აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა, მოსკოვიდან საბჭოს თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. პ. სუზდალევმა, ავიაციის მარშალმა პ. თ. ეიგარიოვმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ი. საკუნმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ დ. ა. ჟუკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილემ ა. მ. ლედოვსკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საბჭოთა პრესის წარმომადგენლებმა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია აგრეთვე გააცილეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიმ ხემ საელჩოს სხვა წევრებთან ერთად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. სკლადანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯან ვენტიანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. დალიამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვ. ლევიკოვსკიმ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ვოშაგლიკმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დ. ადილბიშმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. პრიფტიმ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ვ. ველკოვმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ნგუენ დიკ კუიმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა კ. ზეიცმა.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით.

საზღვრამდე დელეგაციას აცილებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. პასტოევი. (საკდესი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის გამოსვლა აეროდრომზე მოსკოვიდან გამგზავრებისას

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის გამგზავრების დღეს, ნება მიბოძეთ მისი სახელით და კორეელი ხალხის სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენი დელეგაციის გულთბილი და მეგობრული მიღებისა და მასზე ზრუნვისათვის მოსკოვში მისი ყოფნის დროს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენს მთავრობებს შორის დამთავრებულ მოლაპარაკებას, რომლის მსვლელობაში განხილულ იქნა საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კორეაში მშვიდობიან მოწესრიგებასთან, აგრეთვე კორეელი ხალხისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის საკითხები.

საბჭოთა კავშირის მიერ ჩვენი ხალხისათვის გამოყოფილი სახსრები გამოყენებულ იქნება უდიდესი სამრეწველო ობიექტების აღდგენისა და მშენებლობისათვის, რომლებიც შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, აგრეთვე მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა ვადა გაუგრძელა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადასახდელებს საბჭოთა კავშირის მიერ ყველა წინათ მიცემულ კრედიტებზე და მისცა ჩვენს მთავრობას ამ კრედიტების დაფარვის ახალი, უფრო შეღავათიანი პირობები, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას.

იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელიც მოსკოვში წარმოებდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის, — მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი არის არა მარტო განმათავისუფლებელი ჩვენი ხალხისა, არამედ მისი ჭეშმარიტი მეგობარიც. მოლაპარაკების შედეგები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კორეელ და საბჭოთა ხალხებს შორის ძმური მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, შეეტანს თავის წვლილს კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგებისა და აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ჩვენი დელეგაცია გაეცნო გრანდიოზულ მშენებლობას მოსკოვში, აგრეთვე ინახულა ომისშემდგომ პერიოდში აღდგენილი გმირი ქალაქი სტალინგრადი, აგრეთვე კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევები აღგვაფრთოვანებენ ჩვენ და გვაძლევენ ძვირფას ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ომისშემდგომი აღდგენითი მუშაობისათვის.

კორეელმა ხალხმა კარგად იცის, რომ მან ინტერვენტები დაამარცხა ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელ იმ ბანაკის ხალხებთან ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მეგობრობის დროშით, რომელსაც სათავეში უდგანან დიდი საბჭოთა კავშირის ხალხები, და რომ მხოლოდ ამ დროშით მიაღწევს იგი წარმატებებსა და გამარჯვებას თავის შემდგომ ბრძოლაში. ამიტომ იგი თვალისჩინივით გაუფრთხილდება ინტერნაციონალურ სოლიდარობასა და მეგობრობას.

მიემგზავრება რა მოსკოვიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ერთხელ კიდევ გულითად მადლობას უძღვნის მთელ საბჭოთა ხალხს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს მას საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და კორეის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და კოლმეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ

(გაგრძელება)

განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების მეურნეობანი ძროხის, პირველად მომგები დეკეულის ან ცხვრის სიკვდილის თუ იძულებითი დაკვლის შემთხვევაში, აგრეთვე განთავისუფლებულ იქნან ღორის ტყავების სავალდებულო ჩაბარებისაგან კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობანი გადამდებ დაავადებათაგან ღორის სიკვდილის შემთხვევაში, თუ არსებობს ვეტერინარული მეთვალყურეობის დასკვნა ცხოველების სიკვდილის ან იძულებით დაკვლის მიზეზების შესახებ.

რძის, მატყლისა და ღორის ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან მეურნეობა განთავისუფლებულ იქნას ცხოველთა სიკვდილის ან იძულებითი დაკვლის მომენტიდან.

12. უფლება მიეცეთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს რაიაღმასკომების შუამდგომლობის მიხედვით გაათავისუფლონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან ნაწილობრივ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მთლიანად იმ კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობანი, რომლებიც სტიქიურმა უბედურებამ დააზარალა, რომელთა ოჯახშიც მოკვდა ან ხანგრძლივად ავადმყოფობს ოჯახის მარჩენალი მუშაკი და რომელნიც დროებით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

13. სავალდებულო ჩაბარების მხრივ შედავათის მინიჭებისას შრომის უნარმოკლებულად ითვლებიან:

ა) ინვალიდები, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა მიაკუთვნეს ინვალიდობის I და II ჯგუფებს;

ბ) ხეიბრები, რომელთაც არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მინდვრისა და სხვა სამუშაოებში.

შელავათების მინიჭების დროს ოჯახის წევრები — მამაკაცი 60 წლისა და უფრო ხნიერი, ქალი — 55 წლისა და უფრო ხნიერი, და ბავშვები 16 წლამდე, ვინც ამ ასაკს მიაღწია იმ კალენდარულ წელიწადში, რომლისთვისაც ერიცხება მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეები და ისეთ სასწავლებელთა მოსწავლეები, სადაც სწავლების ვადა წელიწადზე ნაკლები არ არის, შრომისუნარიანთა შორის არ აღირიცხებიან.

IV.

კოლმეურნეობებში საკვების წარმოებისა და დამზადების გაღიდების შესახებ

1. დაწესდეს 1954 წლისათვის კოლმეურნეობებში უხეში საკვების დამზადების გეგმა 176 მილიონი ტონის რაოდენობით, მათ შორის თივისა — 90 მილიონი ტონის, წვნიანი საკვებისა — 76 მილიონი ტონის რაოდენობით, აქედან სილოსი — 42 მილიონი ტონა და ძირხვენა-ტუბერიანი კულტურები — 34 მილიონი ტონა.

საკვების წარმოებაში დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და კოლმეურნეობებში პირუტყვის კარგი თივით, სხვა უხეში საკვებით, ძირხვენა-ტუბერიანი კულტურებით, სილოსით, მწვანე საკვებით, საფურაჟე მარცვლით და სხვა კონცენტრირებული საკვებით სრული უზრუნველყოფისათვის:

ა) აყვანილ იქნას მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენების, საკვები ბოჩეული და სასილოსე კულტურების ფართობი და მოსავლიანობა კოლმეურნეობებში შემდეგ ოდენობამდე:

	1954 წ.	1955 წ.
ფართობი (მილიონ ჰექტარობით)		
მრავალწლიანი ბალახების სათიბი ფართობი	13,6	16,0
მრავალწლიანი ბალახების ნათესი	10,0	12,0
ერთწლიანი ბალახები	5,6	6,2
მათ შორის სუდანური ბალახი	1,5	1,7
საკვები ძირხვენები და საკვები ბოჩეული კულტურები	1,4	1,5
სასილოსე კულტურები	2,0	2,4
მოსავლიანობა (ცენტნერობით ჰექტარზე)		
მრავალწლიანი ბალახების თივა	24	27
ერთწლიანი ბალახების თივა	22	24
საკვები ძირხვენები და საკვები ბოჩეული კულტურები	160	180
სასილოსე კულტურები	120	135
ბუნებრივი სათიბები	12	13,5

დაწესდეს, რომ მრავალწლიანი ბალახების სათიბი ფართობების გეგმის შეუსრულებლობისას შესაბამისად უნდა გადიდდეს ერთწლიანი ბალახებისა და სხვა საკვები კულტურების ნათესი ფართობები;

ბ) გაფართოვდეს იონჯის, ესპარცეტის, უფხო ვშრიელას და სუდანური ბალახის ნათესები ველიან და ტყეველიან რაიონებში; სამყურას და ტიმოთელას ნარევი, ცერცველა-ჭვავისა და ერთწლიანი კოინდრის ნარევი — არაშავნიადაგიან ზოლსა და ურალის რაიონებში; საკვები ბოჩეული კულტურების — გოგრის, საზამთროს, ყაბაყისა, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის გვალვიან ველიან რაიონებში, აგრეთვე საკვები გოგრისა და ყაბაყის ნათესები გავრცელდეს ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში; მიღებულ იქნას ღონისძიებანი სასილოსე სიმინდის, როგორც კარგი სილოსის დასაბამდებლად ყველაზე ძვირფასი და მოსავლიანი კულტურის ნათესების გასავრცელებლად შავნიადაგიანი და არაშავნიადაგიანი ზოლის ცენტრალურ ოლქებში, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების რაიონებში, ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ რაიონებში და უკაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებში.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მოაწყონ 1954 წელს ფართო საწარმოო გამოცდილების წესით სიმინდის ტაროს დასილოსება, რათა მიღებულ იქნას კონცენტრირებული სასილოსე საკვები ღორებისა და ფრინველის გამოსაკვებად, აგრეთვე უხეში საკვების შესაზავებლად შავნიადაგიანი და არაშავნიადაგიანი ზოლის ცენტრალური ოლქების, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების რაიონების, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სამხრეთი რაიონების და უკაზახეთის ჩრდილოეთი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც სიმინდი ბუნებრივი პირობებით სამარცვლედ არ მწიფდება;

გ) კარტოფილის მაღალი საკვები თვისების გამო მნიშვნელოვნად გაფართოვდეს კარტოფილის წარმოება პირუტყვის საკვებად, პირველ რიგში არაშავნიადაგიანი ზოლის, ურალის, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქებისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში;

დ) უზრუნველყოფილ იქნას 1954 წელს კოლმეურნეობებში სამყურას თესლის შეგროვება 1.121 ათასი ცენტნერის რაოდენობით, იონჯისა — 813 ათასი ცენტნერის, ესპარცეტისა — 872 ათასი ცენტნერის და მრავალწლიანი მარცლოვანი ბალახებისა — 644 ათასი ცენტნერის რაოდენობით. 1953 წელს დამზადდეს სახელმწიფო რესურსებში სუდანური ბალახის სულ ცოტა 60 ათასი ცენტნერი თესლი;

ე) შეიქმნას 1953-1955 წლების განმავლობაში სახელმწიფო დაზღვევის ფონდი სამყურას თესლისა სულ ცოტა 60 ათასი ცენტნერის რაოდენობით, იონჯისა — 60 ათასი ცენტნერის, ესპარცეტისა — 50 ათასი ცენტნერის, ტიმოთელასი — 30 ათასი ცენტნერის, კაპუეტასი — 25 ათასი ცენტნერის და უფხო შვრიელასი — 40 ათასი ცენტნერის რაოდენობით;

ვ) უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში სამუშაოთა შესრულება მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად შემდეგი ოდენობით:

(ათას ჰექტარობით)	1954 წ.	1955 წ.
მდელოებსა და საძოვრებზე ბალახების გაბატივება სასუქით	1700	3300
ნაკლებად პროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების მოხვნა და ამ ფართობებზე საკვები კულტურების დათესვა	1635	3200
დაჭაობებული მდელოებისა და საძოვრების ამოშრობა	650	750
მდელოებისა და საძოვრების ამოძირკვა და გაწმენდა	740	960

დამზადდეს კოლმეურნეობებში და შეტანილ იქნას მდელოებში 1953 წლის შემოდგომასა და 1954 წლის გაზაფხულზე სულ ცოტა 7 მილიონ ტონა ნაკელი, 1,4 მილიონი ტონა ტორფის კომპოსტი და 300 ათასი ტონა წუნწუხი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უზრუნველყონ კოლმეურნეობებში მარცვლეული საფურაჟე კულტურების ნათესის გაფართოება და სასტიკი კონტროლი დააწესონ კოლმეურნეობებში მარცვლეული საფურაჟე ფონდების შექმნისა და სწორად გამოყენებისადმი, აგრეთვე განაზორციელონ ღონისძიებანი მეთესლეობის საქმის. გასაუმჯობესებლად და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების — საგაზაფხულო და საშემოდგომო ცერცველას, ცერცვის, ბარდას, თერის, მუხუდოს, ოსპისა და სხვა კულტურების თესლის გამრავლების დასაჩქარებლად.

2. განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობები 1953 წლიდან პირუტყვისა და ფრინველის საკვებად საფურაჟე მარცვლეულის (შვრია, ქერი, სიმინდი, მარცვლეულ პარკოსანნი და სხვა კულტურები და მარცვლის ნარჩენები) დაფქვისა და დაღერღვისათვის მინდის გადახდისაგან. სახელმწიფო და კოოპერაციულ წისქვილებში საფურაჟე მარცვლეულის დაფქვის ქირა გადახდევინებულ იქნას ფულად 3 მანეთი ცენტნერში.

3. კონცენტრირებული საკვებით კოლმეურნეობათა პირუტყვის ეზრუნველსაყოფად დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს 1953 წლიდან:

ა) დაეტვირთონ კოლმეურნეობებს, რომლებიც სახელმწიფოს საკვალდებულო ჩაბარების წესით აბარებენ ხორბალს, ქატო ჩაბარებული ხორბლის წონის 7 პროცენტის რაოდენობით, ამასთან ქატოში გადაახდევინონ ხორბლის მოქმედი დასამზადებელი ფასი;

ბ) აწარმოონ ხორბლის მარცვლის გაცვლა საფურაჟე კულტურების მარცვალში შეცვლის მოქმედი ექვივალენტების მიხედვით სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, დასავლეთ ციმბირის რაიონებში და სხვა რაიონებში, სადაც ნაადგილია და ჰავის პირობები ხელსაყრელია უძვირფასესი სასურსათო კულტურის — ხორბლის მოსაყვანად და სადაც მარცვლეული საფურაჟე კულტურების ნათესებს დათმობილი აქვს უმნიშვნელო ფართობები;

გ) 1953 წლის მეორე ნახევრიდან დაწესდეს კოლმეურნეობებისათვის კოტტონის შეღავათიან ფასად მიყიდვის ნორმა ზეთოვანი კულტურების ამ თესლში, რაც სახელმწიფოს გარდება საკვალდებულო წესით და მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების მიერ გაწეულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში, 12 კილოგრამი ცენტნერში.

საბოჭკოე სელისა და კანაფისათვის დაცულ იქნას კოლმეურნეობებისათვის კოტტონის მიყიდვის მოქმედი წესი.

25 პროცენტამდე გეგმის გადამეტებით ჩაბარებული ზეთოვანი კულტურების თესლში კოლმეურნეობებისათვის კოტტონის მიყიდვის ნორმები დაწესდეს ცენტნერზე 16 კილოგრამის რაოდენობით, 25 პროცენტიდან 50 პროცენტამდე გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებული ზეთოვანი კულტურების თესლში — ცენტნერზე 32 კილოგრამის რაოდენობით და 50-ზე მეტი პროცენტით გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებული თესლში — ცენტნერზე 40 კილოგრამის რაოდენობით.

4. ძროხების რძის პროდუქტიულობის გადიდების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ფართოდ დანერგონ ზაფხულის პერიოდში პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა საძოვრების ნაკვეთმორიგეობის სისტემის გამოყენებით და მწვანე წვნიანი საკვებით უზრუნველყოფილ იქნას ხელოვნური საძოვრების შექმნა და მრავალწლიანი და პარკოსანი ბალახების, აგრეთვე საკვები ძირხვენების თესვა პირუტყვის მწვანე და წვნიანი საკვებით დამატებით კვებისათვის ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ამზადებს სულ ცოტა 5-6 ტონა სილოსს ერთ ძროხაზე, ფართოდ იყენებს სასილოსედ სიმინდის, მზესუმზირას, საკვები კომბოსტოს და სხვა სასილოსე კულტურების მოყვანას.

5. მეცხოველეობის და განსაკუთრებით მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების, ასტრახანის, გროზნოს, სტალინგრადის, როსტოვის ოლქების, დაღისტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკების და სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში სამომთაბარეო საძოვრების უფრო სწორი და სრული გამოყენების მიზნით და ამ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში პირუტყვის შორეული გარეკვის თანდათანობით შემცირების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას თივის სადაზღვევო მარაგის შექმნა სამომთაბარეო საძოვრების ნაკვეთებზე და ამ მიზნისათვის დაითესოს მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები, აშენდეს მეცხოველეობის სადგომები, აგრეთვე საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ 1954 წლის 1 იანვრისათვის წარმოადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სამომთაბარო საძოვრების უფრო სწორი და რაციონალური გამოყენების შესახებ.

6. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს მწყემსთა ბრიგადებისათვის ხის სტანდარტული სახლებისა და ვაგონეტების წარმოება და გადაცემა ცენტროსოიუზისათვის, რათა ისინი მიეყიდოს იმ რაიონების კოლმეურნეობებს, რომლებიც პირუტყვს შორეულ სამომთაბარო საძოვრებზე ინახავენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გეგმებში გაითვალისწინოს სტანდარტული სახლებისა და ვაგონეტების წარმოება და გადაცემა.

7. პირუტყვის სარწყულებლით უზრუნველყოფისათვის განხორციელდეს საძოვრებზე შახტური და არტეზიული ჭების მშენებლობა შემდეგი რაოდენობით:

	1954 წ.	1955 წ.
შახტური ჭებისა	6500	5800
არტეზიული ჭებისა	2730	3500

8. მიღებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტზე საპროექტო-საძიებო სამუშაოები და კოლმეურნეობათა ძირითადი მიწათსარგებლობის მიწებზე ჭებისა და წყლით უზრუნველყოფის სხვა ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური ხელმძღვანელობა. სახელმწიფო ფონდის მიწებზე საპროექტო-საძიებელ სამუშაოთა, ჭებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის ხარჯები მიღებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტზე, ხოლო სახელმწიფო მიწის ფონდების იმ საძოვრებზე, რომლებიც მიმაგრებულია კოლმეურნეობებზე, ჭებისა და წყლით უზრუნველყოფის სხვა ნაგებობათა მშენებლობა წარმოებდეს 50 პროცენტის რაოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და 50 პროცენტის რაოდენობით კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობისა და სახსრების ხარჯზე.

9. კომბინირებული საკვებისა და კვების მრეწველობის საწარმოთა ნარჩენებისაგან საკვების წარმოების გადიდების მიზნით დაევალოს:

ა) სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს — კომბინირებული საკვების წარმოება 1954 წელს აიყვანოს 2.000 ათას ტონამდე, მათ შორის ფრინველის კომბინირებული საკვები 300 ათას ტონამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი 1956 წელს კომბინირებული საკვების წარმოების ქარხნების სიმძლავრის წელიწადში 5.000 ათას ტონამდე აყვანის შესახებ;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადება კომბინირებული საკვების, ხორცძვლის ფქვილისა და თევზის ფქვილის ფასების შემცირების შესახებ;

გ) სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ 1954 წელს მშრალი კოტტონის წარმოება გაადიდოს 155 ათას ტონამდე, სისხლისა და ხორც-ძვლის ფქვილისა 28 ათას ტონამდე. და საკვები დაფქული თევზისა 31 ათას ტონამდე, მშრალი დურდოსი 23 ათას ტონამდე, საკვები დაფქული ძვლისა 20 ათას ტონამდე.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ 1954-1955 წლებში წესრიგზე მოიყვანოს კოტტონსაცავები და უზრუნველყოს კოტტონის ამოღებისა და დატვირთვის მექანიზაცია.

10. არასწორად ჩაითვალოს ის, რომ დღემდე სპირტის, შაქრის, ლუდის ბევრ ქარხანაში და კვების მრეწველობის სხვა საწარმოებში ჯეროვნად არ არის მოწყობილი ძვირფასი საკვები ნარჩენების გამოყენება პირუტყვის გასასუქებლად.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სპირტის, შაქრის, ლუდის ქარხნებისა და კვების მრეწველობის სხვა საწარმოების საკვები ნარჩენების სრული გამოყენების შესახებ, რისთვისაც მათთან უნდა მოეწყოს მუდმივმოქმედი გასასუქებელი ბაზები დამზადებისა და შესყიდვის წესით მიღებული პირუტყვის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის გასასუქებლად.

11. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზს მოაწყონ ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებსა და მუშათა დაბებში საკვები ნარჩენების შეგროვება ღორების გასასუქებლად.

V.

მეცხოველეობის ფერმებში საკვები კულტურების მოყვანისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ

1. გადიდდეს კოლმეურნეობებში თიბვის, თივის მოფოცხვისა და დაბულულების დონე 1954 წელს 65 პროცენტამდე და თივის დაზვინვისა 50 პროცენტამდე, თიბვისა, თივის მოფოცხვის და დაბულულებისა 1955 წელს 80 პროცენტამდე და თივის დაზვინვისა 65 პროცენტამდე, დასილოსებისა შესაბამისად 65 პროცენტამდე და 75 პროცენტამდე, სასილოსე კულტურების და საკვები ძირხვენების თესვის და მწკრივთა შორის დამუშავებისა 75 პროცენტამდე და 95 პროცენტამდე, კომბაინებით აღებულ ფართობებზე ნამჯის შეგროვების და დაზვინვისა 1954 წელს 50 პროცენტამდე და 1955 წელს 70 პროცენტამდე.

2. დაწესდეს 1954-1955 წლებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებისა და ნამჯის დაზვინვის მექანიზებულ სამუშაოთა შემდეგი მოცულობა: სასილოსე ტრანშეების გათხრა — 1954 წელს 7,0 მილიონი კუბური მეტრი და 1955 წელს — 10,0 მილიონი კუბური მეტრი ტევადობისა; დაჭაობებული მდელოებისა და საძოვრების ამოშრობა 1954 წელს — 650 ათასი ჰექტარი და 1955 წელს — 750 ათასი ჰექტარი; ამოძირკვა და ბუჩქნარებისაგან გაწმენდა მდელოებისა და საძოვრებისა 1954 წელს — 740 ათასი ჰექტარი და 1955 წელს — 960 ათასი ჰექტარი; ნამჯის შეგროვება და დაზვინვა კომბაინით მოსავლის აღების შემდეგ 1954 წელს — 40 მილიონი ჰექტარი და 1955 წელს — 60 მილიონი ჰექტარი.

3. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ წარმოებაში გადაეცეს შემდეგი მანქანები და იარაღები: მძრავი საწველი დანადგარი დუპ-10 საწველი დარბაზის მოწყობილობა, ორთქლის ძალის დანადგარი ლპუ-1, საკიდი სათრიელა ვნუ-3, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის კონსტრუქციის საკვების დამამზადებელი ბერგატი, საკვების უნივერსალური საფხვნელი დკუ-1, 2, ჭაობას საიარუსო გუთანი ბბი-56, ჭაობის ფრეზი ფბ-1, თხუნელასებრი საღრენაჟო მანქანა დკნ-2, ტრანშეის ექსკავატორი ეტ-141, თხრილსათხრელი კმ-1.400, სათიბი მანქანის დანების სველად სალესი მაღალი წარმადობის ჩარხი, დტ-54 ტრაქტორის ორლილვიანი სათიბი მანქანა, ორი შემგროვებელ-დამბულელების გადასაბმელი, როტორიანი კონსტრუქციის წყალსაწნევ-კოშკურიანი ქარძრავა და სიმინდის ასაღები კომბაინი კუ-2.

4. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს გააძლიეროს ამ ახალი მანქანებისა და იარაღების კონსტრუირების სამუშაოები, რომლებიც საჭიროა მეცხოველეობის ფერმებში საკვების მოპოვების, მდელოებისა და საძოვრების ამოშრობისა და ძირეულად გაუმჯობესების სამუშაოთა და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის, აგრეთვე გამოცდის შედეგების საფუძველზე დახვეწოს კონსტრუქციები და მოაწყოს 1954 წელს დტ-54 ტრაქტორის ფართოპირიანი სათიბი მანქანის, ტრაქტორ „ბელარუსის“ ლილვიანი სათიბი მანქანისა და დიდი ტევადობის შემგროვებელ-საზვინავის საწარმოო სერიების გამოშვება.

დამტკიცდეს მეცხოველეობის ფერმებში საკვების მოპოვების, მდელოებისა და საძოვრების ამოშრობისა და ძირეულად გაუმჯობესების სამუშაოთა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო ახალი მანქანებისა და იარაღების კონსტრუქციების ნუსხა, რომლებიც უნდა შემუშავდეს და დაინერგოს წარმოებაში 1953-1955 წლებში.

5. დაევალოს სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყონ 1954-1955 წლებში სოფლის მეურნეობისათვის მანქანების, მოწყობილობისა და მასალების მიწოდება-საკვები კულტურების მოყვანის, საკვების დამზადების, მდელოებისა და საძოვრების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების სამუშაოთა მექანიზაციისათვის,

მათ შორის:		1954 წ.	1955 წ.
თვითმავალი სათიბი მანქანა	ათასი ცალი	7,5	7,5
ტრაქტორის სათიბი მანქანა	„	19,0	23,0
ტრაქტორის ფოცხი	„	35,0	45,0
ტრაქტორის სათრიელა	„	83,0	123,0
საზვინავი	„	35,0	50,0
სილოსის ასაღები კომბაინი	„	2,0	5,0
სიმინდის ასაღები კომბაინი	„	2,5	3,5
ექსკავატორი	„	0,39	0,31
თხრილსათხრელი	„	2,1	2,0
ბულდოზერი	„	1,1	1,1
ბუჩქსაჭრელი	„	1,0	2,0
სკრეპერი	„	5,8	5,9
ფოლადის გვარლი	ტონა	2440	2420
ბენზინის მოტორი	ათასი ცალი	30,0	50,0

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1954 და 1955 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს სოფლის მეურნეობისათვის მანქანების, მოწყობილობისა და მასალების წარმოება და გადაცემა სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით.

6. დამტკიცდეს დაევალებანი კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში 1954 და 1955 წლებში: ყლის მომარაგების დარგში 1954 წელს 20 ათასი ფერმა და 1955 წელს — 30 ათასი ფერმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დასარწყულებლად, ავტოსარწყულებლების გამოყენებით შესაბამისად — 10 და 15 ათასი ფერმა, ძროხის წველის დარგში — 5 და 10 ათასი ფერმა, შინასაფერმო ტრანსპორტის დარგში — 10 და 20 ათასი ფერმა, კონცენტრირებული საკვების გადამუშავების დარგში — 10 და 14 ათასი ფერმა, ხეზეში საკვების გადამუშავების დარგში — 10 და 15 ათასი ფერმა, წვნიანი საკვების გადამუშავების დარგში — 15 და 20 ათასი ფერმა და საკვების დაორთქლის დარგში 1954 წელს — 40 ათასამდე და 1955 წელს — 45 ათასამდე ფერმა.

ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის ფერმებში მთელი შრომატევადი სამუშაოების უპირატესად კომპლექსური მექანიზაცია მექანიზაციის ახალი, უფრო სრულყოფილი და ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საჭირო შემთხვევებში მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა სატრაქტორო სამუშაოების გეგმებში გაითვალისწინოს ნაკელის გაზიდვა მეცხოველეობის ფერმებს დაშორებულ კოლმეურნეობათა მინდვრის ნაკვეთებში.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 და 1955 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს, რომ:

ა) დამზადდეს და ჩაბარდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს — მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განსახორციელებლად საბჭოთა მეურნეობებისათვის გადასაცემად მანქანები, მოწყობილობა და მასალები,

მათ შორის:		1954 წ.	1955 წ.
საწველი			
დანადგარები		7,5	15,0
ბავრგზები		8,2	16,5
საკვების დასაორთქლავები		37,0	41,5
ქარძრავები		5,1	7,7
ელექტროძრავები 10 კილოვატამდე		80,0	131,0
სხვადასხვა			
ტუმბოები		25,5	48,3
ორთქლალოვანი დანადგარები		0,5	1,0
წყალსადენის			
თუჯის მილები		15,0	25,0
	ათასი ცალი	ათასი ცალი	ათასი ცალი
		ათასი კომპლექტი	ათასი კომპლექტი

ბ) გამოეყოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს რუსეთის სფსრ ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროსათვის და უკრაინის სსრ მინისტროთა საბჭოს უკრაინის სსრ ადგილობრივი და სათბობი მრეწველობის სამინისტროსათვის 1954 წელს 20 ათასი ტონა და 1955 წელს 30 ათასი ტონა ფურცლოვანი და კუთხოვანი ფოლადი ლითონის წყალსაწნევი ავზების დასამზადებლად; სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს 1954 წელს — 3,7 ათასი ტონა და 1955 წელს — 5,6 ათასი ტონა ზოლოვანი ფოლადი ხის წყალსაწნევი ავზების მოსასალტავად.

8. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ქიმიური მრეწველობის სამინისტროს 1954 და 1955 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიაწოდოს მანქანები და მოწყობილობა, რაც საჭიროა მეცხოველეობის ფერმებში სამონტაჟე სამუშაოთა შესასრულებლად და საძოვრების წყლით უზრუნველსაყოფად.

9. მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დარგში სამუშაოთა უკეთ მოწყობისა და კომპლექსური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ახორციელებენ ამ სამუშაოებს, უზრუნველყოფენ კოლმეურნეობათა მიერ ნაყიდი მანქანებისა და მოწყობილობის გადაზიდვას, ეწევიან მათს დადგმასა და მონტაჟს მეცხოველეობის ფერმებში. კოლმეურნეობანი მექანიზაციის ობიექტებს იღებენ ექსპლოატაციისათვის მზა სახით.

10. გავრცელდეს მდელოსამელიორაციო და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაკებზე ხელფასის ის წანამატები მუშაობის სტაჟისათვის, რომლებიც მტს-ების მუშაკებისათვის არის დაწესებული.

11. დამტკიცდეს ღონისძიებანი მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო ბაზის სიმძლავრეთა გასაღიდებლად და მის გასაფართოებლად იმ მანქანების წარმოებისათვის, რომლებიც განკუთვნილია საკვები კულტურების მოყვანის, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოთა და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განსახორციელებლად.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა და კოლმეურნეობისა მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ

VI.

მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობის შესახებ

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობებში 1954 წელს მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობის გეგმა: ბაკებისა და სახბორეების — 4,2 მილიონი სულისათვის, ფარეხების — 16,3 მილიონი სულისათვის, საღორეების — 2,5 მილიონი სულისათვის, საფრინველეების — 27 მილიონი ფრთა ფრინველისათვის, საწიწილეების — 30,0 მილიონი ფრთისა და 6,0 მილიონი ტონა ტევადობის კაპიტალურ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობისა.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შექმნან მშენებელთა ბრიგადები, ფართოდ გამოიყენონ მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობაზე მშენებელთა ბრიგადების შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური სისტემა, აგრეთვე კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით აძლიონ ბრიგადებს ფულადი და ნატურალური პრემიები მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის, როცა სამუშაო კარგი ხარისხის არის.

2. მტს-ებში არსებული მანქანებისა და მექანიზმების უკეთ და უფრო სრულად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ მტს-ებმა კოლმეურნეობებს დახმარება გაუწიონ მეცხოველეობის სადგომების, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში, საშენი მასალების გადაზიდვასა და ხე-ტყის დახერხვაში.

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს 1954 და 1955 წლების გეგმებში, რომ ცენტროსოიუზს გამოეყოს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობისათვის 660 მილიონი ცალი შიფერი, მათ შორის — 300 მილიონი ცალი 1954 წელს და 360 მილიონი ცალი 1955 წელს, აგრეთვე სსრ კავშირის უტყეო რაიონებისათვის 8,0 მილიონი კუბური მეტრი მორები, აქედან 4,0 მილიონი კუბური მეტრი 1954 წელს და 4,0 მილიონი კუბური მეტრი 1955 წელს, დაჭერხილი ხე-ტყე 4,8 მილიონი კუბური მეტრი, აქედან 2,4 მილიონი კუბური მეტრი 1954 წელს და 2,4 მილიონი კუბური მეტრი 1955 წელს.

4. გადიდდეს ადგილობრივი საშენი მასალების (აგურის, კრამიტის, კირის) წარმოება ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში და 1955 წელს ეს მასალები კოლმეურნეობებს მიეყიდოს შემდეგი რაოდენობით: აგური — 2.000 მილიონი ცალი, კრამიტი — 300 მილიონი ცალი და კირი — 700 ათასი ტონა საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დაწესებულ ფასებში.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, როცა ეს სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილია, საკუთარი ძალებითა და საშუალებებით დაამზადონ აგური, კრამიტი და კირი.

5. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს 1954 და 1955 წლებში დაამზადოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ჩააბაროს კოლმეურნეობებისათვის მიასაყიდად 4.000 სტანდარტული სასილოსე კოშკი კომპლექტის სახით, მათ შორის 1954 წელს — 2.000 კოშკი, აქედან 1.000 კოშკი 250 ტონის ტევადობისა და 1.000 კოშკი 150 ტონის ტევადობისა, ხოლო 1955 წელს — 2.000 კოშკი, აქედან 1.500 კოშკი 250 ტონის ტევადობისა და 500 კოშკი 150 ტონის ტევადობისა.

6. დაევალოს გზათა სამინისტროს იმ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, სადაც დასაცურებელი მდინარეებია, აწარმოონ ხე-ტყის გადაზიდვა დასაცურებელი ადგილიდან და ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტებიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საჭიროებისათვის ყველა მიმართულებით მოცემული ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის ფარგლებში.

7. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს დაამტკიცოს გამომუშავების სანამუშო ნორმები და ერთიანი შეფასება შრომადღეებით კოლმეურნეობებში წარმოებული მშენებლობის სამუშაოებისათვის, მშენებლობაზე მომუშავე კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი, აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებელი ბრიგადების ბრიგადირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.

VII.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეთა მაგვრიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

1. საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებითა და მისი საქონლიანობის გადიდებით კოლმეურნეთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა საერთო კრებების შეხედულებისამებრ, აძლიონ კოლმეურნეებს ავანსად პირუტყვის და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრების დაახლოებით 25 პროცენტი. კოლმეურნეებს აღნიშნული ფულადი ავანსი მიეცეთ ყოველკვარტალურად 15 პროცენტამდე ოდენობით გასულ კვარტალში საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებულ ყველა შრომადღეზე, და, გარდა ამისა, 10 პროცენტამდე იმ შრომადღეებზე, რომლებიც გამომუშავებულია მეცხოველეობაში და საკვების მოპოვებაში, ამასთან დაწესდეს, რომ კოლმეურნის მიერ მეცხოველეობასა და საკვების მოპოვებაში გამომუშავებულ შრომადღეებზე მიღებული ფულადი ავანსი ფულადი შემოსავლის საბოლოო განაწილებისას არ მცირდება.

სახელმწიფო ბანკმა კოლმეურნეობათა მოთხოვნით ჩარიცხოს კოლმეურნეობების მიერ მეცხოველეობისა და მეფრინველეობისაგან მიღებული მთელი ფულადი შემოსავლის 25 პროცენტამდე ფულადი სახსრები განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც კოლმეურნეობებს შეუძლიათ დახარჯონ ფული მხოლოდ შრომადღეებზე გასანაწილებლად ამ დადგენილების მიხედვით.

2. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს უფლება მიენიჭოს დაამტკიცოს შეფასება შრომადღეებით მეცხოველეობის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიღებისა და პირუტყვის სულადობის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში ცალკეული კოლმეურნეებისათვის პროდუქტიული პირუტყვის მოსავლად მიჩენის სანამუშო ნორმები.

3. დატოვებულ იქნას მოზარდეული პირუტყვის გაზრდის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის დამატებითი ანაზღაურების მოქმედი ოდენობა და გაცემის წესი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეებისათვის მეცხოველეობის პროდუქციის მიღებისა და სულადობის შენარჩუნებისათვის დამატებითი ანაზღაურების თავის დროზე მიცემა. დაწესდეს, რომ დამატებითი ანაზღაურება კოლმეურნეებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ეძლევათ 50 პროცენტის ოდენობით, სანამ კოლმეურნეობა შეასრულებდეს სახელმწიფოსათვის შესაბამისი სახეობის პროდუქციის ჩაბარების გეგმას, და 50 პროცენტი მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობა შეასრულებს ამ გეგმას. მოზარდეული ცხოველის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის დამატებითი ანაზღაურება გაეცემულ იქნას, მიუხედავად იმისა, შესრულებული აქვს თუ არა კოლმეურნეობას პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა და შეასრულა თუ არა კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს დაამტკიცოს გამომუშავების სანამუშო ნორმები და ერთიანი შეფასება შრომადღეებით კოლმეურნეობებში წარმოებული მშენებლობის სამუშაოებისათვის, მშენებლობაზე მომუშავე კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი, აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებელი ბრიგადების ბრიგადირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.

VIII.

საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების შესახებ

1. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების საბჭოთა ორგანოებს:

ა) 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობა საბჭოთა მეურნეობებში აიყვანონ სულ ცოტა შემდეგ რაოდენობამდე:

(ათასობით სული)

	სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო	სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო
ძროხა	1180	92
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	3490	265
ცხვარი და თხა	11900	110
ღორი	3200	285
მოზრდილი ფრინველი	5890	650

ბ) დაწესდეს ერთ ძროხაზე რძის წველადობის დავალება 1953 წლის 1 ოქტომბრიდან 1954 წლის 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში სულ ცოტა 2.730 კილოგრამი და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — სულ ცოტა 3.150 კილოგრამი;

გ) უზრუნველყოფილ იქნას 1954 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 550 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვრებზე და ბაგაზე გასუქება და 4.000 ათასი სული ღორის გასუქება;

დ) აყვანილ იქნას 1954 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში თივის დამზადება 12.180 ათას ტონამდე და წვნიანი საკვებისა 11.600 ათას ტონამდე, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — თივისა 1.600 ათას ტონამდე და წვნიანი საკვებისა — 1.160 ათას ტონამდე.

2. აყვანილ იქნას 1955 წლის ბოლოსათვის საბჭოთა მეურნეობებში საკვები ბალიეული კულტურების თესვის, მწკრივთა შორის დამუშავების სამუშაოთა მექანიზაციის დონე 80-95 პროცენტამდე, სასილოსე სიმინდისა და შაქრისუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი თესვისა და მწკრივთა შორის დამუშავების სამუშაოთა მექანიზაცია უკრაინის სსრ, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების რაიონებში 80-95 პროცენტამდე და სხვა რაიონებში 70-80 პროცენტამდე; თივის თიბვის, მოგროვებისა და თივის დაზვინვისა 85-100 პროცენტამდე, საკვების დასილოსებისა 85-100 პროცენტამდე, კომბაინით აღების შემდეგ ჩაროცა არის პირუტყვისა და ფრინველის შენარჩუნების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დავალების, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების მაღალი მაჩვენებლები, როცა შესრულებულია ზეცხოველეობის შენობათა მშენებლობისა და პირუტყვის და ფრინველის საკვებით უზრუნველყოფის გეგმა სრული საპირეროების ოდენობით, — კოლმეურნეობას ეძლევა სახელმწიფო პრემია — ერთი სატვირთო ან მსუბუქი ავტომანქანა.

კოლმეურნეობებისათვის პრემიების მიცემა მოხდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ბრძანებების მიხედვით საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინების საფუძველზე.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს გამოეყოს ყოველწლიურად 1954-1956 წლებში 2.500 სატვირთო ავტომობილი და 2.500 მსუბუქი ავტომობილი გაზ-69, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს 1954-1956 წლებში სახსრები კოლმეურნეობათა პრემირებისათვის გამოყოფილი ავტომობილების ფასის გადასახდელად.

8. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში აძლიონ კოლმეურნეებს და მანქანა-ტრაქტორთა, მეცხოველეობის სამანქანო და სხვა სპეციალიზებული სადგურების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს ავანსი თივის აღებისა და ნამჯის დამზადებაზე გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით იმ თივისა და ნამჯის საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე, რომელიც დამზადდა, შემოსავალში გატარდა და მიღებულია კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, ხოლო ბუნებრივ სათიბთა მეორე განათიბზე 20 პროცენტი; კოლმეურნეობებში, რომლებმაც შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, შრომადღეებზე გაიცეს გეგმის გადამეტებით დამზადებული თივის 30 პროცენტი. გარდა ამისა, საკვების დამზადების პერიოდში ყველა კოლმეურნეს მიეცეს ავანსი წლის დამდეგიდან გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით დამზადებული თივის საერთო რაოდენობის 5 პროცენტამდე და დამზადებული და დაზვინული ნამჯის 10 პროცენტამდე. შრომადღეების მიხედვით საკვების საბოლოო განაწილება აწარმოონ საკვების დამზადების დამთავრების, სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმის შესრულებისა და საკვებით საზოგადოებრივი პირუტყვის უზრუნველყოფის შემდეგ. იმ კოლმეურნეებს, რომლებსაც საპატიო მიზეზის უქონლად არ გამოუმუშავებიათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განვლილ პერიოდში შრომადღეების მინიმუმი, უხეში საკვები ავანსად არ მისცეს;

ბ) მისცეს კოლმეურნეებს საძოვრები პირუტყვის საძოვებლად, საჭირო შემთხვევებში გაუწიონ კოლმეურნეებს დახმარება ტრანსპორტით დამზადებული საკვების გადასაზიდავად.

ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შესაძლებლობა მისცეს კოლმეურნეებს გათიბონ სათიბი ნაკვეთები სახელმწიფო ფონდის მიწებზე, ტყის სავარგულებში, გზებისა და თხრილების პირზე.

ლის აღებისა და დაბულულებისა — 90 პროცენტამდე.

3. დაწესდეს 1954-1955 წლებისათვის

(ათასობით სული)

	სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო		სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	
	1954 წ.	1955 წ.	1954 წ.	1955 წ.
ძროხების ავტორწყულება	120	140	20	30
მექანიკური წველა	140	150	23	25
შინასაფერმო ტრანსპორტი	150	170	40	60
საკვების საამქროები მსხვილფეხა რქიანი საქონლის საკვებად და საკვების სამზარეულოები ღორების საკვებად	140	150	25	30
ცხვრების მექანიკური პარსვა	9000	10000	—	

4. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების საბჭოთა ორგანოებს:

ა) უზრუნველყონ პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობებში კეთილმოწყობილი სადგომებით და ფერმების მომარაგება წყლით, სასილოსე ნაგებობათა და სადგომების მშენებლობა პირუტყვისათვის მისაცემად საკვების მექანიზებული მომზადებისათვის, რისთვისაც 1954 წელს ააგონ მეცხოველეობისა და სხვა სადგომები და ნაგებობანი სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 350 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, 300 ათასი სული ღორისათვის, 1.800 ათასი სული ცხვრისათვის, 1.380 ათასი ფრთა ფრინველისათვის, 480 ათასი ტონა ტევადობის სასილოსე ნაგებობანი, 300 გუბურა და წყალსატევი, 3.750 შახტური ჭა, 500 ბურღილი ჭა, 300 წყალსადენი; სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ააგონ სადგომები 30 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, 40 ათასი სული ღორისათვის, 10 ათასი სული ცხვრისათვის, 100 ათასი ფრთა ქათმისათვის, 30 ათასი ტონა ტევადობის სასილოსე ნაგებობანი, 30 გუბურა და წყალსატევი, 200 შახტური ჭა, 70 ბურღილი ჭა და 100 წყალსადენი;

ბ) მთლიანად უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობები ადგილობრივი საშენი მასალებით, უმთავრესად სახელმწიფო და ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა წარმოების ხარჯზე საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებულ ფასებში და ამ საშენი მასალების ღირებულება შეიტანონ საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო ანგარიშებში.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 წლის გეგმაში გაითვალისწინოს უტყეო რაიონების საბჭოთა მეურნეობებისათვის მიზნობრივი დანიშნულებით მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობებისათვის დაუხარჯავი ხე-ტყის გამოყოფა 0,5 მილიონი კუბური მეტრის და დაჭერხილი ხე-ტყის 0,4 მილიონი კუბური მეტრის რაოდენობით.

6. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1954 წელს შრომითი რეზერვების სკოლებიდან შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთ უზბასეთისა და შუა აზიის საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნოს 3.000 მშენებელი მუშა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს განაწილებით, მათ შორის: 1.200 ხურო, 500 დურგალი, 1.000 კალატოზი და 300 შიმლესავი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1954 წლის გეგმაში გაითვალისწინოს აღნიშნული რაოდენობის მუშების გაგზავნა საბჭოთა მეურნეობებში.

7. მიჩნეულ იქნას არასწორად, რომ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში იხმარება ხბოების წოვებითი შენახვის ჩამორჩენილი სისტემა და იწველება ძროხის არა მთელი სულადობა.

დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი იმის შესახებ, რომ სახორცე მიმართულების საბჭოთა მეურნეობები გადაყვანილ იქნან ხორცისა და რძის ან მეცხვარეობის მიმართულებაზე.

8. ნება მიეცეთ დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო მდებარე საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულების ანგარიშში ჩააბარონ სამი კვირიდან ორ თვემდე ასაკის სახარე ხბოები.

9. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენთსაშენების საფურაჟე კულტურებისა და სიმინდის მთელ მოსავალს სათესლე ფონდების შენახვის შემდეგ ისინი იყენებენ პირუტყვის საკვებად დაწესებული ნორმებით.

საფურაჟე მარცვლეულის გარდამტი ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში უნდა გადაეცეს ზგოტზერნოს პუნქტებს საოლქთაშორისო ან ძინასაოლქო საცვლელ ფონდში იმისათვის, რომ ამ ფონდიდან მიეცეს საბჭოთა მეურნეობებს შესაბამისად სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს განაწილებით.

მიეცეს საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენთსაშენებს მათ მიერ გაცვლის წესით ჩაბარებული სასურსათო, პარკოსანი და საბურღულე კულტურების ნაცვლად მარცვლეული საფურაჟე კულტურები პირუტყვის საკვებად.

10. იმ საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების მიერ ჩაბარებული მეცხოველეობის პროდუქცია, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების ცენტრალიზებული გეგმები, ანაზღაურებულ იქნას ამ დადგენილებით დაწესებულ შესასყიდ ფასებში.

11. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესება პირუტყვის სულადობის გადიდებით, მისი პროდუქტიულობის ამაღლებით, სულადობის შენარჩუნებით და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების გეგმების შესრულებით, 1954 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნას საბჭოთა მეურნეობების მუშების დამატებითი წახალისება სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქციის გეგმის გადაჭარბებით მიღებისათვის.

12. უფლება მიეცეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს 1954 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა მეურნეობების იმ მუშებს, რომლებიც შომსახურებას უწევენ მეცხოველეობას, უფასოდ მისცენ სათანადო სპეცტანსაცმელი.

13. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1954-1956 წლებში განახორციელოს:

ა) საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი შენობების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობა, რათა საბჭოთა მეურნეობებში კადრების შენარჩუნებისათვის შეიქმნას საჭირო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები;

ბ) საჭირო რაოდენობით მშენებლობა ტიპური სარემონტო სახელოსნოების, გარაჟების, ფარდულებისა და ბეტონის ღია მოედნებისა ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად, ნავთობსაცავებისა, სათადარიგო ნაწილების საწყობებისა, აგრეთვე აღჭურვის საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოები და სარემონტო საწარმოები სახარატო, საფარავი, საბურღავი ჩარხებით და მოწყობილობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსათვის სახსრების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომანქანების, მასალების, ხე-ტყისა და მოწყობილობის, აგრეთვე მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით გამოყოფა.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სასოფლო რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ ამ დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობის განვითარების, პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის ღონისძიებათა განხორციელებაში. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მეცხოველეობის კადრების შერჩევის, მომზადებისა და განაწილების საქმე, კომუნისტებით და კომკავშირელებით განამტკიცონ იმ ფერმებისა და ბრიგადების მუშაკთა შემადგენლობა, რომლებიც საკვების მოპოვებაზე მუშაობენ, ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ეს დადგენილება, მოაწყონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 23 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს გვატემალის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ეკვადორის, ეთიოპიისა და უკრაინის სსრ წარმომადგენლებმა.

გვატემალის წარმომადგენელი ტორიელიო გარიდა მიესალმა კორეაში დროებითი ზავის დადებას და განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მოუწოდებს „პატივი სცენ აზიაში მშვიდობიანი მოწესრიგებით უშუალოდ დაინტერესებული ყველა ქვეყნის კანონიერ უფლებებს". მან თქვა, რომ გვატემალის დელეგაცია მხარს უჭერს იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გამოყენებულ იქნას ატომის ენერგია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის, და დასძინა, რომ გვატემალას, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებს, სურს „უდიდესი სახსრები", რაც ახლა შეიარაღებას ხმარდება, გამოყენებულ იქნას ადამიანთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

გვატემალის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალისა და მმართველი წრეების პოლიტიკა გვატემალის მიმართ.

იმასთან დაკავშირებით, რომ გვატემალაში განხორციელდა აგრარული რეფორმა, აგრეთვე მიღებულია მთელი რიგი კანონები, რომლებიც ხელს უწყობენ გვატემალის ეკონომიურ განვითარებას და მისი ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, განაცხადა გვატემალის დელეგატმა, შეილახა „უცხოეთის დიდი მონოპოლიების ინტერესები". ამ მონოპოლიებმა გაიღაშქრეს გვატემალის სუვერენული უფლებების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მას უფლება აქვს იბრძოლოს პროგრესისათვის და განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები. მონოპოლიები, და კერძოდ „იუნაიტედ ფრუტ კომპანი", რომელნიც ამერიკის შეერთებული შტატების მპართველი წრეების მხარდაჭერით სარგებლობენ, თქვა ტორიელიო გარიდამ, ისწრაფვიან დაამხონ გვატემალის ახლანდელი მთავრობა და მოსპონ მისი მოღვაწეობის შედეგები. ისინი მიმართავდნენ ცილისწამებასა და მუქარას, ამზადებდნენ რა „ნამდვილ ეკონომიურ აგრესიას" გვატემალის წინააღმდეგ.

ტორიელიო გარიდამ აღნიშნა, რომ გვატემალა პრინციპულად არ არის უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა წინააღმდეგი, და განაცხადა, რომ მისი მთავრობა მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ პატივი სცენ გვატემალის კანონებს. გვატემალა, თქვა მან, „ერთხელ და სამუდამოდ" უარყოფს როგორც „კოლონიური ტიპის" კაპიტალდაბანდებას, ისე ყოველგვარ პრივილეგიას უცხოეთის კაპიტალისათვის, ისეთ პრივილეგიას, რომლითაც გვატემალის მოსახლეობა არ სარგებლობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განაგრძო გვატემალის დელეგატმა, ბევრს ლაპარაკობენ უცხოეთის კაპიტალდაბანდებაზე, როგორც „სუსტად განვითარებული ქვეყნების ყველა სენის სამკურნალო" საშუალებაზე. მაგრამ ძალიან ხშირად ავიწყდებათ ის ფაქტი, რომ სწორედ უცხოეთის კომპანიები, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ ამ ქვეყნებში, არიან „ამ ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი".

გვატემალის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს კაპიტალდაბანდებათა გაფართოებას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, „ნიმუშად" არ გამოიყენებს ისეთ დამბანდებელი, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკის მონოპოლია „იუნაიტედ ფრუტ კომპანი" გვატემალაში, რომელნიც ეწესლოატაციას უწევენ სხვა ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გამდიდრებისათვის.

შემდეგ გვატემალის წარმომადგენელი შეეხო ბელიზის ტერიტორიის საკითხს, რომელიც, როგორც მან განაცხადა, ინგლისმა ერთ დროს უკანონოდ, ძალით ჩამოაცილა გვატემალას. ჩვენი დელეგაცია, თქვა მან, სარგებლობს შემთხვევით, რათა პროტესტი განაცხადოს ინგლისს მიერ ჩადენილი უსამართლო აქტის წინააღმდეგ და ამავე დროს წინადადებით მიმართავს ინგლისის მთავრობას მოლაპარაკების გზით გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ტორიელიო გარიდამ განაცხადა, რომ „კოლონიური ერა საესებით დამთავრდა" და რომ კოლონიალიზმის არსებული ნაშთი ისეთი გადმონაშთია, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების არსს. კოლონიური სისტემა, განაცხადა დასასრულ გვატემალის წარმომადგენელმა, უნდა მოისპოს დედამიწის ზურგზე. სხდომის დარბაზში მყოფი ბევრი დელეგატი და სტუმარი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა გვატემალის წარმომადგენლის სიტყვას.

შემდეგ ილაპარაკა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ამერიკის დელეგაციის პოზიციას, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხში. ამასთან სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა გაილაშქრა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ.

ეკვადორის დელეგატის სიტყვა ამოიწურა დაღესის 17 სექტემბრის სიტყვისათვის ქებადიდების შესხმით და ცილისმწამებლური გამოხდომებით დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. ეკვადორის წარმომადგენელმა მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვა და გაიმეორა შეერთებული შტატების დელეგაციის მოსაზრებანი.

ეთიოპიის წარმომადგენელმა თქვა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაწყდეს რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა გაძლიერონ ეკონომიური და ტექნიკური დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი, აგრეთვე რომ გენერალურმა ასამბლეამ ხელი უნდა შეუწყოს კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საქმეს.

სხდომა დამთავრდა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურის ა. მ. ბარანოვსკის სიტყვით.

კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ, განაცხადა მან, მთელი მსოფლიოს ხალხებს აღუძრა იმედი, რომ შესაძლებელია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგება და საყოველთაო მშვიდობის განმტიცება. კორეაში დაზავება ძალის პოლიტიკის სერიოზული დამარცხებაა და სადავო საერთაშორისო საკითხთა მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკის გამარჯვებაა. ამ გამარჯვების ხალხები სრული საფუძვლით უკავშირებენ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობიან პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ემყარება რა თავის საგარეო პოლიტიკაში იმას, რომ უთუოდ შეიძლება ორი სისტემის ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება, განაგრძო ბარანოვსკიმ, საბჭოთა კავშირი მზად არის ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, რომელიც ესწრაფვის ასეთ თანამშრომლობას. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო სსრ კავშირის, არამედ სხვა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებსაც. გამოცდილებამ აგრეთვე დაგვანახვა, რომ ამჟამად არ არსებობს ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციას, თქვა უკრაინის სსრ წარმომადგენელმა, გზას უღობავენ დაბრკოლებანი, რომლებსაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკთან დაკავშირებული ქვეყნების აგრესიული წრეების პოლიტიკა. ამ ქვეყნების არამრავალი, მაგრამ გავლენიანი ჯგუფები სიტყვით იმის მომხრენი არიან, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანად მოწესრიგდეს, მაგრამ საქმით განაგრძობენ „ძალის პოლიტიკის", „ცივი ომის" პოლიტიკის განხორციელებას, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას.

ასეთი დიპლომატიური და პოლიტიკური თამაშის მაგალითად ა. მ. ბარანოვსკიმ მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის სიტყვა გენერალურ ასამბლეაზე. დალესის განცხადების მიხედვით, თქვა მან, ჯერ შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გადაუშალონ გენერალურ ასამბლეას კონკრეტული მოქმედების პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ამერიკის მთავრობა აპირებს საერთაშორისო ვითარების გასაჯანსაღებლად და სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. დალესის სიტყვა არ შეიცავდა არავითარ, თუნდაც შორეულ ნიშანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ ყურად იღონ ხალხთა საყოველთაო მისწრაფება, შეწყვეტონ „ცივი ომი" და გამალებული შეიარაღება. პირიქით, დალესის მთელი სიტყვა თავიდან ბოლომდე შეიცავდა რაღაც მოთხოვნებს საბჭოთა კავშირის მიმართ. მოითხოვა რა საბჭოთა კავშირისაგან ცალმხრივი დათმობანი, დალესმა ამავე დროს გვერდი აუარა საკითხს, თუ ბოლოს და ბოლოს როდის შეიტანენ ამერიკის შეერთებული შტატები დაპირებულ ჭვლილს სადავო საერთაშორისო საკითხთა მოწესრიგების საქმეში.

შეერთებული შტატები, განაგრძო ა. მ. ბარანოვსკიმ, ისწრაფვიან როგორც ეს სწორად აღნიშნა ინდონეზიის დელეგატმა, „თავიანთი პოლიტიკის მუდმივ საფუძვლად გადაქციონ ცივი ომი". ასეთი პოლიტიკა სრულიადაც არ არის ნავარაუდევი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, პირიქით, მას შეუძლია მხოლოდ ახალი საომარი კონფლიქტების ნიადაგი მოამზადოს.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეფექტიანი და პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელოს მშვიდობის უზრუნველყოფად. ასეთი ღონისძიებანი, თქვა მან, დასახულია სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებებში.

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.

შვეიცის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა უნდენმა თავის სიტყვაში გაიხსენა, რომ აგვისტოში კორეის საკითხის განხილვის დროს შვეიცის დელეგაცია ემხრობოდა კორეის საკითხზე „მრგვალი მაგიდის" ტიპის კონფერენციის მსგავსად პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას. შვეიცის დელეგაციის აზრით, განაცხადა უნდენმა, „მეტად მნიშვნელოვანია", რომ პოლიტიკური კონფერენცია კორეის საკითხზე უსათუოდ გაიმართოს და რომ „პრესტიჟის მოსაზრებებმა" ხელი არ უნდა შეუშალოს წინასწარ შეთანხმებას ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

შვეიცის დელეგატმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხს. უნდენმა გაილაშქრა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის გაუქმების შესახებ წინადადების წინააღმდეგ. მაგრამ მან მოითხოვა შეიზღუდოს დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის გამოყენება ზოგიერთ საკითხში და, კერძოდ, ახალი წევრების მიღების საკითხში.

უნდენმა განაცხადა, რომ „წესდების არსებითი ნაწილების გადასინჯვა უახლოესი და მნიშვნელოვანი მიზანი როდია" და რომ „მთლიანად წესდება დამაკმაყოფილებელია". „არსებული წესდების შეჭანიზმს, — თქვა მან, — შეუძლია ჩინებულად იმსახუროს, თუ არსებობს თანამშრომლობის საკმაო სურვილი".

ჰოლანდიის წარმომადგენელი ლუნსი მიემხრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიას (ჰოლანდია მე-8 სესიის დღის წესრიგში იმ პუნქტების შეტანის ერთ-ერთი ინიციატორია, რომლებიც მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვისაკენ. — **რედ.**).

ინგლისის წარმომადგენელმა ლიიდმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კორეაში დაზავების მიღწევამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელებას. ფაქტების საწინააღმდეგოდ მან კორეაში დაზავების მიღწევის საქმეში მთავარი დამსახურება მიაწერა შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და სხვა ქვეყნებს, რომლებიც ომობდნენ კორეელ ხალხის წინააღმდეგ, ამასთან დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

ლიიდი სავსებით მიემხრო შეერთებული შტატების პოზიციას, რომელიც დალესმა ჩამოაყალიბა თავის 17 სექტემბრის სიტყვაში ისეთ საკითხებზე, როგორიც არის შეიარაღების შემცირება, პოლიტიკური კონფერენცია კორეის, გერმანიისა და ავსტრიის საკითხებზე, და აშკარად გამოამჟღავნა ის აზრი, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრის გზად მას მიაჩნია ცალმხრივი დათმობანი საბჭოთა კავშირის მხრივ. გამოთქვა რა აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობის განგრძობის სასარგებლოდ, ლიიდი ცდილობდა პასუხისმგებლობა ამ კომისიის მუშაობის ჩაშლისათვის მოეხსნა შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

სხდომის დასასრულს გამოსულმა იუგოსლავიის დელეგატმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-8 სესიის უარი — მოიწვიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი — ხელს უშლის შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იუგოსლავიის დელეგატი ცდილობდა გაემართლებინა იუგოსლავიის, თურქეთისა და საბერძნეთის აგრესიული სამხედრო ბლოკის დადება. ილაპარაკა რა ავსტრიის საკითხის მდგომარეობაზე, მან, ისევე როგორც თავისი სიტყვის სხვა ნაწილებში, დაუშვა მთელი რიგი ცილისმწამებლური გამოხდომები სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ბუმაცენდეს დაკრძალვა

ულან-ბატორი, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მონღოლი ხალხი უკანასკნელად გამოეთხოვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ერთ-ერთ უხუცეს ხელმძღვანელს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გონჩიგაინ ბუმაცენდეს.

დილით დაიწყო ხალხის შესვლა დიდი სახალხო ჰურალის სხდომის დარბაზში, სადაც დასვენებული იყო განსვენებულის კუბო.

ყოველ ხუთ წუთში იცვლებოდა სპატიო ყარაული, რომელსაც ეწეოდნენ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესია რამდენიმე ათეული ათასი კაცის შემადგენლობით გაემართა სასაფლაოსკენ, სადაც მოეწყო სამგლოვიარო მიტინგი. სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დამბამ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის

ფხენიანი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ომის შემდეგ მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებად მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ კრედიტი მიეცეს იმ მშრომელთა, რომელთაც სურთ აიშენონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. დადგენილების შესაბამისად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ბანკები უკვე აძლევენ სესხს მოსახლეობას. კრედიტის თანხა უდრის 20 ათას ვონს.

ბულგარეთში სექტემბრის აჯანყების 30-ე წლისთავი

სოფია, 24 სექტემბერი. (საკდესი). მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის სექტემბრის აჯანყების 30 წლისთავთან დაკავშირებით გუშინ აჯანყების ცენტრში — ქალაქ მიხავლოვგრადში გაიმართა ქალაქისა და ახლომახლო სოფლების მშრომელთა 30-ათასიანი მიტინგი.

სახელოვანი წლისთავის შესახებ სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი დამიანოვმა.

მიტინგის შემდეგ გაიხსნა 1923 წლის აჯანყების მუზეუმი.

სასამართლო ტერორი კენიაში

ლონდონი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ინგლისური პრესის ცნობებიდან ჩანს, კენიის ხელისუფლები აძლიერებენ ტერორის ზანგი მოსახლეობის წინააღმდეგ. ზანგების სასამართლო დევნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს ზანგთა ექვსი სასამართლო პროცესი. მათ ბრალდებათ მონაწილეობა შეიარაღებულ შეტაკებაში, რომელიც ლარში პროვოკაციულად მოაწყეს თვითონ ხელისუფლებმა.

მარტო გიტუნგურის სასამართლომ ამ უკანასკნელ ხანს 105 სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა ამ საქმეზე.

სასამართლოს პროცესები ტერორის ვითარებაში მიმდინარეობს. როგორც „მანჩესტერ გარდიანი" იუწყებოდა, გიტუნგურის სასამართლოს სხდომები აქვს მოედანზე, რომელსაც გარს არტყია მრავალი წყება ეკლიანი მავთული და იცავს გაძლიერებული სამხედრო რაზმი. მოედნის გარშემო არის სპეციალური სმაგრეები, რომლებშიც დადგმულია ტყვიამფრქვეები. სასამართლოს მოხელეები სასამართლოს სხდომაზე შეიარაღებული მოდიან. ბრალდებულებს ბორკილი ადევთ.

ამას წინათ ნაირობში (კენია) გამოქვეყნდა ახალი საგანგებო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებს შეუძლიათ სიკვდილით დასაჯონ ყოველი ზანგი იმ ბრალდებით, რომ იგი „ტერორისტია".

თბილისში ჩამოვიდნენ ინგლისელი მეცნიერები

26 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ინგლისელ მეცნიერთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. სტუმრებს შორის არიან ცნობილი მეცნიერ-ფიზიკოსი, პროფესორი საზოგადო მოღვაწე ჯ. ბერნალი, გამოჩენილი ბიოქიმიკოსები ჯ. ბეკონი (შეფილდის უნივერსიტეტი) და ა. გორდონი, კრისტალოგრაფი დ. ჰოჯკინი (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ცნობილი ბოტანიკოსი დ. ფაიფი, ისტორიკოსი რ. ჰილტონი (ბირმინჰემის უნივერსიტეტი).

სტუმრებს ახლავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი პროფესორი ს. კისელიოვი.

თბილისის აეროდრომზე ინგლისელ მეცნიერთა დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ჯანელიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე გ. კარბელაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ი. ბერიტაშვილი, რ. აგლაძე, გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ბარამიძე და სხვები.

დღეს დელეგაციის პატივსაცემად ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა დარბაზობა. სტუმრები იყვნენ აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. (საქდესი).

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). 24 სექტემბერს ს. მ. კიროვის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა სსრ კავშირის 1953 წლის გუნდური პირველობის გათამაშების მესამე ტური ჭადრაკში.

ფინალში მონაწილე გუნდების ასპარეზობა მძაფრი ბრძოლით ხასიათდება. დედაქალაქის მოჭადრაკეები მესამე ტურში თამაშობდნენ ესტონეთის გუნდის წინააღმდეგ. დამთავრდა ხუთი პარტია. შედეგია 3:2 მოსკოველთა სასარგებლოდ.

წარმატებით იბრძვის ლენინგრადის მოჭადრაკეთა კოლექტივი, რომელიც 24 სექტემბერს ბელორუსიის გუნდს შეხვდა. შვიდ დამთავრებულ პარტიაში ლენინგრადელებმა შეაგროვეს 5½ ქულა.

საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივი მესამე ტურში თამაშობდა უკრაინის გუნდის წინააღმდეგ. 4 დამთავრებულ პარტიაში საქართველოს გუნდმა 2½ ქულა შეაგროვა. რუსსრ-ისა და ლატვიის მოჭადრაკეთა კოლექტივების შეხვედრის ანგარიშია ჯერჯერობით 3 : 3.

ქ. გოგბაია.

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 110 წლისთავი

26 სექტემბერს შესრულდა 110 წელი ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.

დიდი-ჯიხაიშის ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ამ დღის აღსანიშნავად მოეწყო გამორჩენილი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. იგი გვაცნობს ნ. ნიკოლაძის ბავშვობას, ყრმობას, სტუდენტობას, პეტერბურგში გატარებულ წლებს, მის ახლო ურთიერთობას ჩერნიშევსკთან და გერცენთან, ეურნალ „კოლოკოლში" მოღვაწეობას და სხვა მომენტებს.

მუზეუმმა შეიძინა ნ. ნიკოლაძის თანამედროვეების ს. დეკაძის, დ. ნემსაძის, ლ. დარსაველიძის და ა. ხაცავას მოგონებები, მისი პირადი წერილები და ნივთები. ამ დღეებში ნ. ნიკოლაძის ოჯახმა მუზეუმს გადასცა ნიკოსეული ნივთები.

მუზეუმი დიდძალ მნახველებს იზიდავს.

ა. დევიძე.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ ახალი ათონის რაიონი და შეუერთდეს მისი ტერიტორია არსებული საზღვრებით აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონს.



თბილისის სახელმწიფო ცირკში. სურათზე: კორეელი მსახიობები ასრულებენ ერთ-ერთ ნომერს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

სეზონის გახსნა თბილისის ცირკში

გაისმის ნაღარის, მხნე მარშის მომწოდებელი ხმა. სცენაზე გამოდიან მსახიობები. ისინი სიმეტრიულ ჯგუფებად ეწყობიან და პროლოგს კითხულობენ. ასე დაიწყო პროგრამა თბილისის სახელმწიფო ცირკმა სეზონის გახსნისას 25 სექტემბერს.

პროლოგის ძირითადი იდეაა მშვიდობისათვის ბრძოლა. მაყურებლები წრფელი ტაშით ხვდებიან ლექსს ჩინელ და კორეელ ხალხებთან ჩვენი მძლავრი, მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურთვევი მეგობრობის შესახებ.

ამ ორი ქვეყნის საცირკო ხელოვნების ეს შესანიშნავი ოსტატები მთელი პროგრამის დამამშვენებელნი არიან. დამსწრენი შეუნელებელი ინტერესით უყურებენ ჩინური ცირკის უხუცესი მსახიობის სიუ-ლის რთულ ნომერს. საუკეთესო ოსტატობა გამოიჩინა აგრეთვე მსახიობმა ქალმა ინზა-სუნმა. ტექნიკურად ბრწყინვალედ, ზუსტად და მწყობრად მუშაობს ვან-ზუ-ვეის ჯგუფი. ამ ჯგუფის რთული ნომერი შეიდგება ჩინური საცირკო ხელოვნების ბევრი ელემენტისაგან.

შესანიშნავ ღონეს, სიმარჯვეს, დახელოვნებას იჩენენ კორეელი მსახიობები.

ცოცხლად, საინტერესოდ ატარებს ექსცენტრიულ ეტიუდს კორეელ მსახიობთა მეორე ჯგუფიც.

სატირიკოსები თამარ და ანდრია ივანოვები საუცხოოდ ასრულებენ კუპლეტებს პოლიტიკურ და ყოველდღიურ საჭირბოროტო თემებზე. ვ. პერევოზჩიკოვი გაბედულად ფრენს ცირკის გუმბათქვეშ. პროგრამას ამხიარულებენ მუსიკალური ექსცენტრიკოსები ვეტლიცინი და კოროტკოვები; მარჯვედ ახვედრებენ მიზანში მსროლელები გონჩარენკოები; საუკეთესო ტექნიკა აქვთ ეონგლიორ მიკიტიუკებს და მხტუნავ პუშკარენკოებს. საინტერესოა ნომერი „სკოლაში გაკვეთილზე", რომელსაც ასრულებს ნ. ერმაკოვი თავისი გაწვრთნილი ძაღლებით.

მაგრამ სეზონის გახსნისას ნაჩვენებ პროგრამაში ნაკლიც არის. ეს არის, მაგალითად, კომიკოსების ზონოვის და ჩეკოლტანის ნაკლებად საინტერესო და არასაკმაოდ მოფიქრებული ნომრები და ცხენების მწვრთნელი ხურსანოვი, რომელსაც ხშირად არ უგონებენ მისი ოთხფეხა მეგობრები.

ი. იოსებაშვილი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

27 სექტემბერს	დღის 12 საათზე ი. მოროზოვი — **ეძიმი აიგოლიტი** საღამოს ზ. ფალიაშვილი— **აბესალომ და ეთერი**
29 სექტემბერს	პ. ჩაიკოვსკი—**პიკის ქალი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

„ზლავეტალოსანიტის" საქართველოს კანტორა ამით აცხადებს თავის მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ 1953 წ. ცხრა თვის ფონდების მეხედვით საქონლის გაცემას აწარმოებს მთლიანად, ხოლო მეოთხე კვარტალის ფონდების ანგარიშში — ნაწილობრივ. საქონელი გაიცემა კვირადღეებშიც.

1-დან 10 ოქტომბრამდე აწარმოებს საქონლის აღწერა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ:

ჩინეთის და კორეის მსახიობები, აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პარადი-პროლოგი **„ხალხთა მეგობრობა"** დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 27 სექტემბერს, დღის 2 **საბავშვო წარმოდგენა.** დასაწყისი I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

საქართველოს სარეწაო საბჭოს საფეიქრო-სამკერვალო კავშირის თანამშრომლები იუწყებიან ნადია იაგორის ასულ ცაგურაიას გარდაცვალებას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება მწერალ **სოლომონ გიორგის-ძე იორდანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-IX, 5 ს. პლეხანოვის პრსპ. № 50.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ამბაკო პეტრეს-ძე ახობაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29-IX, 5 ს. გოგებაშვილის ქ. № 28.

მეუღლე ნიკოლოზ ხრამელაშვილი, შვილი ვლადიმერ, რძალი თამარ, დები ე. გრიცენკო, მ. მარკეევიჩი, შვილიშვილები იუწყებიან **ანა კორნელის ასულ ხრამელაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-IX, 8 ს. გამოსვენება 29-IX, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 98.

შვილები ისაკი, იოსებ ორაგველიძეები, სიძეები ფ. ფირცხალაშვილი, ა. ჭყონია, მ. ნიკოლაიშვილი ოჯახებით, **შვილიშვილი ნოდარ** იუწყებიან **ელისაბედ ორაგველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IX ს. შუხუთში (ლენჩხუთის რაიონი).

მეუღლე მიხეილ, და სოფიო სანტლიძე, მულები ვალენტინა ღლონტი, მარგარიტა წულაძე, მაზლები პეტრე, გიორგი ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე გიორგის ასულ აბულაძეღლონტის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IX, 8 ს. გამოსვენება 29-IX, 5 ს. ბესიკის ქ. № 14.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკა და ქალაქის I საავადმყოფოს თვალის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ანა კორნელის ასულ ხრამელაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა 24-ე სკოლის პედკოლექტივი და 9³ კლასის მოსწავლეები იუწყებიან **თამარ გიორგის ასულ ღვინიაშვილის** გარდაცვალებას.

რძალი ეკატერინე, ძმისწული ქსენია ახობაძე, დისწულები დომენტი, დავითი, ლიდა, მარო ჭახნაკიები, აბესალომ, ნატალია, კლავდია, საშა, მირიან ჩხაიძეები ოჯახებით იუწყებიან **ამბაკო ახობაძის** გარდაცვალებას.

დედა მართა, ძმები კაპიტონ და აკაკი, დები აგრაფინა, ლელი დოლიძეები იუწყებიან **გრიგოლ ოსიფის-ძე დოლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IX, ს. განსვენებაში (ჩოხატაურის რაიონი).

თ. კვირიკაძე, გ. ჯაში, ნ. ძიძიგური, ე. ომნაიშვილი, ნ. ჩიტაშვილი, ლ. ოგანეზოვი, ა. ადამია, თ. ხოლუაშვილი, თ. მგალობლიშვილი, დ. კიკალეიშვილი იუწყებიან **ზაქარია იოსების-ძე ხამსონაძის** გარდაცვალებას.

ვ. ბერიძე, ა. მაყაშვილი, რ. დვალი, ე. ნადირაძე, თ. გონიაშვილი, თ. სალარიძე, რ. ღამბაშიძე, ლ. ნადარეიშვილი, ლ. კაიშაური იუწყებიან **სოლომონ იორდანიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტ